

კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება ჰიდროლოგიურ რეჟიმზე

თორნიკე ხოხონიშვილი

ელ.ფოსტა: tornike.xохонishvili2013@ens.tsu.edu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

ბოლო ათწლეულებია დედამიწაზე შეინიშნება ატმოსფეროს მიწისპირა ფენის და მსოფლიო ოკეანის საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდის პროცესი, რაც კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ჯგუფის (IPCC) მონაცემებით "სავარაუდოდ განპირობებულია ანთროპოგენური სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით".

კლიმატის ცვლილება კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჰიდროსფეროზე და მათ შორის მდინარეთა ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, კერძოდ იზრდება ექსტრემალური (მაქსიმალური და მინიმალური ხარჯების) მნიშვნელობების რაოდენობა და სიხშირე, იცვლება ასევე წყლის რესურსების რაოდენობრივი მახასიათებლები და სხვა. გამონაკლისი არც საქართველოს ტერიტორიაა, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მოხდეს წყლის რესურსის შეფასება და სწორი განაწილება, რათა თვიდან ავიცილოთ კლიმატის გლობალური ცვლილებიდან გამოწვეული უარყოფითი ფაქტორები, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს შემდეგში: მოურწყველი ტერიტორიების ფართობის გაზრდა, სასმელი წყლის დეფიციტი, შემცირებული ენერგორესურსი და სხვა.

კლიმატის ცვლილების პარარელურად როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე ხორცილდება სხვადასხვა ღონისძიებები კლიმატის ცვლილებების შედეგების შერბილების და მინიმიზაციისათვის. ეს გამოიხატება როგორც სამთავრობო ისე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

სასემინარო ნაშრომში დამუშავებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები ჰიდროლოგიურ რეჟიმზე კლიმატის ცვლილების მასშტაბით, როგორც საერთაშორისო ისე რეგიონულ დონეზე.